

სულთან აჰმედ III-ის ფირმანი ბაქარ ბაბრატინოს

საქმე ესება მოკლე ხნით „ოსმალბის“ დამყარებას ქართლში 1723 წელს. კახეთის მეფემ კონსტანტინემ დაქირავებული დაღესტნელების ჯარით თბილისი აიღო. დაღესტნელებმა თბილისი ისე ააოხრეს და გაძარცვეს. „რომ მთელი საუკუნის განმავლობაში ამის შემდეგ ქალაქი თავის ძველ კეთილდღეობას ვეღარ დაუბრუნდა“. ქართლის საშინაო და საგარეო მდგომარეობა უკიდურესად გართულდა. ამჯერდ დროს არზრუმის ევლან იბრაჰიმ ფაშას სარდლობით შემოსეულმა ოსმალთა ჯარმა ქართლი უომრად დაიპყრო 1723 წლის ივნისში. ამ დროს შიდა ქართლში გახიზნული დიდი ქართველი პატრიოტი მეფე ვახტანგი ჯერ კიდევ ცდილობდა თავიდან აეცილებინა ქართლისათვის თავსდამტყდარი უბედურება. მაგრამ ყოზილბაშმა და ოსმალთა დამპყრობლებმა ისეთი ვითარება შექმნეს, რომ „ვახტანგს ქართლში აღარ ედგომებოდა“. ოსმალთა დამპყრობლები კარგად გრძნობდნენ, რომ ქართლში ფეხის მოკიდება ადვილი საქმე არ იყო. ისინი შეეცადნენ, გამოეყენებინათ ბაგრატიონთა სახლის ავტორიტეტი ქართლის მოსახლეობაში და ქართლის გამგებლობა ვახტანგის ძეს ბაქარს დააქისრეს. სწორედ ეს მომენტიც ასახული აქ წარმოდგენილ თურქულ ფირმანში. ამ ფირმანის მიხედვით არზრუმის ევლან იბრაჰიმ ფაშას, დიარბექირის ევლან აჰმედ ფაშასა და სხვა ოსმალთა მხედართმთავართა წარდგინებთ სულთანს აჰმედ III თბილისის ვილაყეთს (=ქართლის) ბეგლარბეგად ნიშნავს ბაქარს, რომელიც წინასწარ „გაპატიოსნდა“ ისლამის სარწმუნოებაზე მოქცევით და იწოდა იბრაჰიმად. ასევეა ეს ფაქტი აღნიშნული ს. ჩხეიძის „მეფეთა ცხოვრებაში“, სადაც წერია: „ურუმთ მისცეს მეფეს ბაქარს ქართლი და შექმნეს რჯულისა მისისა მოსავეი და დაახურეს ყაუხი. დაარქვეს იბრაჰიმ ფაშა“.

თავიანთი პოლიტიკური პოზიციის გასამაგრებლად ქართლში ოსმალებმა ბეგლარბეგობასთან ერთად ბაქარს აურთლუეისა და ოჯაკლიეის წესით უბოძეს თბილისის ვილაყეთი. აურთლუეისა და ოჯაკლიეის წესით მამულის ბოძება კი იმას ნიშნავს, რომ წინააღმდეგ ოსმალეთში იმხანად გაბატონებული სამხედრო ლენური სისტემისა, მამული მუღამივ და სამემკვიდრეო მფლობელო-

1 ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია I, უძველესი დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდე, თბილისი, 1946, გვ. 372.

2 საქართველოს ცხოვრება, ზ. კვიციანიძის გამოცემა, თბილისი, 1913, გვ. 37.

ბაში ეძლეოდა სათანადო პირს. უნდა აღინიშნოს, რომ დაპყრობილი ქვეყნის დიდგვარიანთა გადმობირების მიზნით მურთლუქისა და ოქაქლიქის წესით მამული გაიციემოდა მხოლოდ სასაზღვრო პროვინციებში³.

ამ წარმოდგენილი ფირმანი დაცულია ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახ. ბიბლიოთეკაში. იგი აღწერილია B. Dorn-ის კატალოგში⁴, № 543, III—41. ფირმანი დაწერილია მეტად თავისებური დივანის ხელით. დოკუმენტის ზომა: 60x46 სმ; ტექსტისა: 48x46 სმ; სტრაქონთა რაოდენობა: 10⁵.

თურქული ტექსტი

[წარწერა თურაზზე:]

احمد خان بن محمد مظفر دائما

1) قدوت الاماجد و الاعيان! بوندن اقدم تفلیس خانی اولان وختان خانك اوغلی

ابراهيم زيد مجده توقيع رفيع همایون واصل اوليجق معلوم اولاكه دستور مكرم

مشير مفخم نظام العالم ارض روم ايالتنه متصرف اولوب مقدمًا 2) تفلیس جانبنه مأمور عاكر اسلامه سردار اولان وزيرم ابراهيم پاشا ادام الله تعالى اجلاله سدّه سعادتمه

مكتوب كوندروب بوندن اقدم ممالك محروسه اسلاميه دن ايكن بعضی عوارض اقتضا سيله 3) عجم شاهلرينك يذرنيه دوشن تفلیس ايالتنك حالا بلطف الله الاكبر فتح

و تسخيری مقرر و مسر و سنكدخی عون عنایت ربانی قرين حالك و هدايت

صمدانی رهين امالك اولوب 4) شرف اسلام ايله مشرف و معزز اولدينك اجلدن تفلیس ايالتی بکربكيلك ايله بروجه يورتنق و اوچاللق سكا ويرلك باننده عنایت


رجاسنی عرض و دستور مكرم مشير مفخم 5) نظام العالم دياربكر ايالتنه متصرف اولان وزيرم احمد پاشا ادام الله تعالى اجلاله دخی مكتوبيله التماس و اولجانبه

مأمور اولان ميرميران و ساير ضابطان عسكر محاضر اتمريله 6) حالیا حقكزده مزاید عنایت عليه شاهانه و زيت رأفت سنیه پادشاهانم ظهوره كتوريلوب اشبو بيك

³ M. Sertoğlu, Resimli Osmanlı Tarihi Ansiklopedisi, İstanbul, 1978, გვ. 348; ვ. გ. ბაშელი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVII სს. უწყვეტება, თბ., 1958, გვ. 258, 343. აგრეთვე: ს. ჯიქია, XVIII სს. უწყვეტის თურქული დოკუმენტი ოქროს ციხის შესახებ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, III, თბილისი, 1960, გვ. 170-172; M. X. Сванидзе, О юртыках и оджакликях как об одной из форм землевладения в Османской империи (на примере Чилдырского эялета). Первый конгресс балканских исследований, София, 1966. Сообщения Советской делегации, Москва, 1966.

⁴ Catalogue des manuscrits et xylographes orientaux de la Bibliothèque imperiale publique de St.-Petersbourg, St-Pb., 1852.

⁵ ამ დოკუმენტის შესახებ პირველად ცნობა მოვეხილა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანაშრომელმა ე. აბულაძემ. ფირმანის შესანიშნავად შესრულებული ფოტოსურათი და მისი ზომის შესახებ ცნობები გამოვიგზავნა ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის განყოფილების გამგემ აშხ. ა. აბრამიშვილმა. რისთვისაც დიდ მადლობას მოვიხსენებ.



ლივეყოს დიდებულება მისი — ჩემს ბედნიერ სამეფო კარს წერილი გამოუგზავნა და მოგვახსენა: თბილისის ვილანჯეთი, ამასწინათ რომ კეთილადღაცული ისლამის სახელმწიფოს სამფლობელო იყო, ზოგ რთულ ვითარებათა გამო ირანის შაჰების ხელში ჩაეარდა; ამჟამად ჩვენ, დიდი ალლანჰის წყალობით, მის აღებასა და დაპყრობას მტკიცედ და წარმატებით მივადწიეთ. ვინაიდან ამჟამად შენც ახლოს დგახარ ლეთიურ შეწყალებასა და შეწვევასთან, შენი მართალ გზაზე დგომისაკენ ლეთიური მისწრაფებით და ისლამის პატივის მიღებით გაპატიოსნდი და გაკეთალშობილდი, ამიტომ იბრძვი ფაშამ წყალობა გეთხოვა, რათა თბილისის ვილანჯეთი და მისი ბეგლარბეგობა აურთლუქისა და ოჯაყლიყის⁸ წესით გებოძოს შენ. [გარდა ამისა], პატივმოსილმა დესთურმა, დიდებულმა ბუშირმა, ქვეყნის მომწესრიგებელმა დიარბექირის ვილანჯეთის მფლობელმა ვეზირმა ჩემმა აქმედ ფაშამაც⁹ — მაღალმა ალლანჰმა ხანგრძლივეყოს დიდებულება მისი — წერილით იმუადგომლა და აგრეთვე მაგ მხარეში წარგზავნილმა ბეგლარბეგებმა და ჯარის სხვა მეთაურებმაც ერთობლივი არზა წარმოადგინეს [ზემოხსენებული თანამდებობისა და მამულის შენთვის ბოძების შესახებ]. ამიტომ ამჟამად თქვენდამი გამოვიჩინეთ მომეტებული, უზენაესი მეფური წყალობა და უმაღლესი სამეფო სათნო ღირსება და გამოვეცი დიდებამოსილი, უზენაესი სამეფო სიგელი, რათა ამა ათას ას ოცდათხუთმეტა წლის ზი-ლ-კა'და'ს მესამე დღიდან (= 1723 წლის 5 აგვისტოს) მოკიდებული დაეუფლო თბილისის საბეგლარბეგოს აურთლუქისა და ოჯაყლიყის წესით, რომელიც გებოძა და გეწყალობა შენ. ამ გადაწყვეტილების თქვენთვის მოსახსენებლად დაინიშნა...¹⁰ ებრძანებ, ჩემს მიერ გაცემული დიდებამოსილი და მაღალღირსეული უზენაესი სამეფო სიგელის თანახმად დაეუფლო შენ თბილისის საბეგლარბეგოს აურთლუქისა და ოჯაყლიყის წესით. ქვეყანაში წესრიგის დამყარების, ქვეშევრდომთა დაცვისა და მოვლაპატრონობის საქმეში და სხვა ჩემს მიერ ნაბრძანები ჩემდამი მაღალი სამსახურის შესრულებასა, წარმართვასა და სრულყოფაში გამოიყენე მთელი შენი ძალ-ღონე და გამოიჩინე დიდი გულმოდგინება. ამიერიდან მკაცრად განერიდე და თავი შეიკავე ღარიბთა, ქვეშევრდომთა და ვილანჯეთის სხვა მოსახლეო-

მოსულისა და დიარბექირის ენ. ი. 1134 წელს (1721/1722) მეორედ ინიშნება არზრუმის ენ-ლისა და სავროდ ამ მხარის სერასქერის თანამდებობაზე. 1135 წელს (= 1723) განჯისა და ერევნის კომენდანტი. გარდაიცვალა 1136 წელს (1723). დამარხულია არზრუმში. იხ.:

عثمانی سہل سہل، ج. 1، ص. 121 — 122; აგრეთვე სეხნია ჩხეიძის მეფთა ცხოვრება. გვ. 37.

⁸ აურთლუქისა და ოჯაყლიყის წესის შესახებ იხ. აქვე, შესავალში.

⁹ აქმედ ფაშა 1115 წ. (1703/04) ჩაეუბნა. 1130 წ. (1716) ვეზირის წოდებით დაინიშნა კონიის ვილანჯეთის ლაშქარში. შემდეგ კი დიარბექირის ვილანჯეთისა და ერევნის სერასქერის თანამდებობაზე. 1137 წ. (1724/1725) ერევნის ენლიც გამხდრა. იხ.: سہل سہل، ج. 1، ص. 247—248.

¹⁰ როგორც წესი, სიგელის წამლების, შიკრიყის, მაცნის სახელი ფირმანებში აღნიშნული არ არის. ასეთ შემთხვევაში ნახევარ სტრიქონზე სეტი აღვილია ხოლმე დატოვებული. შტრ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის თურქული დოკუმენტები Tur d 63, :28 და სხვ.

ბისა და ქვეყნის მოწინავეთა ყოველგვარი ჩაკერის, ძალმომრეობისა და დაბე-
ჩაეებისაგან. დაიწერა ათას ას ოცდათხუთმეტი წლის ზნ-ლ-კა'და'ს პირველ
ათეულში (1723 წლის 3—12.VIII) კეთილადდაცულ კონსტანტინოპოლს.

С. С. ДЖИКИЯ

ФИРМАН СУЛТАНА АХМЕДА III БАКАРУ БАГРАТИОНИ

Резюме

В работе публикуется фирман султана Ахмеда III (1703-1730), хранящийся в Ленинградской публичной библиотеке им. Салтыкова-Щедрина. По этому фирману султан Ахмед III, для укрепления своей политической позиции во вновь оккупированном на короткий срок царстве Картли, жалует Бакару, сыну картлийского царя Вахтанга VI Тбилисский вилайет и должность бегларбега на правах юртука и оджаклыка.
